



**ქალთა მიმართ ქალადობის პრევენცია
პრობლემები და გამონაკვეთები**



2013

ՄԱՐԿԵՏԻՆԳԻ ԺԱՆՏԵՐԻ ՎԵՐԱԿՈՆԿՐԱԿՆԵՐԸ -
ՎԵՐԱԿՈՆԿՐԱԿՆԵՐԸ ԵՎ ԲԱԹՄՈՆԻՏՈՐԻՆԳ



ՄԻՈՒՆԻՍԿԻ, 2018

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ანგარიშის ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

თარგმანი: ნინო ტლაშაძე

პროექტის ფარგლებში სტატიებს ამზადებდა: ლანა გიორგიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org



Government of the United States

ანგარიში მომზადდა პროექტის „ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში. ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსაზრებას.

სარჩევი

შესავალი	5
კანონმდებლობის მიმოხილვა	6
ხარვეზები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ოჯახში	
ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას	9
ალტერნატიული ექსპერტიზის დაფინანსების პრობლემა	11
ნარკოტიკების მომხმარებელი ოჯახში ძალადობის მსხვერპლები	12
ოჯახში მოძალადე პირთა რეაბილიტაცია	13
სოციალური დახმარების მოხსნა თავშესაფრებში მცხოვრები	
ბენეფიციარებისათვის	15
შემაკავებელი და დამცავი ორდერების პირობების შესრულების მონიტორინგი	16
ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები	17
ფემიციდი	20
ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენის პრობლემა	21
კადრების ნაკლებობა ოჯახში ძალადობაზე რეაგირების კუთხით	21
დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების შეცვლა	22
რეკომენდაციები	23
დანართი	25

შესავალი

ანგარიში მომზადდა ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის - „ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ორგანიზაციამ საქართველოში აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა. პროექტის მიზანს წარმოადგენდა არსებული სამართლებრივი მექანიზმების ხარვეზების ანალიზი, რაც აბრკოლებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრას, ეფექტური მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ძირითადი აქტორების მონაწილეობით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ინკლუზიური დიალოგის ხელშეწყობა და საკანონმდებლო ცვლილებებისა და ახალი მექანიზმების შეთავაზება ხელისუფლებისათვის.

პროექტი ითვალისწინებდა სამუშაო შეხვედრების/დისკუსიების გამართვას თბილისსა და რეგიონებში, სადაც სხვადასხვა აქტორები საუბრობდნენ იმ პრობლემებზე, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, რასაც ისინი აწყდებიან თავიანთ საქმიანობაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე მუშაობისას. შეხვედრებში მონაწილეობდნენ იმ სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, რომლებსაც ევალებათ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემებზე მუშაობა, ასევე - ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემებზე მუშაობის გამოცდილება.

პროექტის ფარგლებში გამართული შეხვედრები წარმოადგენდა შესაძლებლობას, მოსმენილიყო ყველა აქტორის პოზიცია, თუ რა ცვლილებებია საჭირო კანონმდებლობაში, პრაქტიკასა და არსებულ მექანიზმებში ქალთა მიმართ ძალადობასთან ეფექტური გამკლავებისათვის, მათ შორის, თუ რა ცვლილებებია საჭირო იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რასაც ძირითადი აქტორები აწყდებიან თავიანთი საქმიანობისას. ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში ჩატარდა 4 შეხვედრა (თბილისში, შიდა ქართლში (გორი), ქვემო ქართლსა (რუსთავი) და კახეთში (თელავი)).

შეხვედრებში მონაწილეობდნენ თბილისსა და რეგიონებში მოქმედი შემდეგი სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, თბილისის პროზაციის ბიურო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, პროზაციის ეროვნული სააგენტო, მარნეულის მუნიციპალიტეტი, კახეთის პროზაციის ბიურო, გურჯაანის მერია, თელავის რაიონული პროკურატურა, გორის რაიონული პროკურატურა, ქ. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, შიდა ქართლის პროზაციის ბიურო, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გორის თავშესაფარი. არასამთავრობო ორგანიზაციები - ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამოქალაქო განვითარების სააგენტო „სიდა“, მედიის ინსტიტუტი, კავშირი „საფარი“, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“, „ციხის საერთაშორისო რეფორმა“, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო ცენტრი

„იმედი“, ასოციაცია „მრავალენოვანი საქართველოს ქალები“, „ქალი და განვითარება“, „ნაბიჯი მომავლისკენ“, World Vision Georgia.

ანგარიშში გაანალიზებულია პროექტის ფარგლებში გამართული დისკუსიების დროს განხილული ძირითადი საკითხები.

კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობას წარმოადგენს ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) ან 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლებით გათვალისწინებული შედეგი. ოჯახურ დანაშაულს კი წარმოადგენს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა¹.

საქართველოს პარლამეტმა 2006 წლის 25 მაისს მიიღო კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონში განისაზღვრა ოჯახში ძალადობის ცნება და სახელმწიფო დაცვისა და დახმარების მექანიზმები, რომელიც ტარდება მოძალადის მიმართ, მათ შორის, შემაკავებელი და დამცავი ორდერი, რაც საშუალებას აძლევს პოლიციას და სასამართლოს სწრაფი რეაგირება მოახდინოს ოჯახში ძალადობის ფაქტზე, უზრუნველყოს მსხვერპლის დაცვა და შეზღუდოს მოძალადის გარკვეული ქმედებები².

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი. დამცავ ორდერს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი კი არის პოლიციის უფლებამოსილი

¹ მუხლი 11¹, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

² „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>

თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები³.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობის ფორმებს წარმოადგენს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

2012 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც დანაშაულის ჩადენა გენდერული იდენტობის მოტივით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემობას წარმოადგენს⁴. თუმცა, აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევები იშვიათია.

საქართველომ 2014 წელს ხელი მოაწერა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციას (სტამბოლის კონვენცია), რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას განსაზღვრავს და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს ქალთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, როგორცაა: ფსიქოლოგიური ძალადობა, ადევნება, ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, მათ შორის - გაუპატიურება და ნებისმიერი სექსუალური ხასიათის აქტი, რომელზეც არ ყოფილა თანხმობა, ქალების გენიტალური მუტილაცია, ძალადობრივი აბორტი და სტერილიზაცია.

სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსში მოხდა ახალი დანაშაულის, ადევნების დეფინიცია, რომელიც გულისხმობს პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალს, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარებას ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერ სხვა განზრახ ქმედებას, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის⁵. სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის შედეგია ასევე თანხმობის გარეშე სტერილიზაციის დანაშაულისა და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების დეფინიციების განსაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსში⁶.

³ მუხლი 10, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>

⁴ მუხლი 53¹, 2012 წლის 27 მარტის ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

⁵ მუხლი 151¹, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

⁶ მუხლი 133¹ და 133², საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

სტამბოლის კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, დააწესოს სისხლისსამართლებრივი ან სხვა სანქცია იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც სექსუალურ შევიწროებას სჩადიან⁷. 2017 წლის ოქტომბერში სექსუალური შევიწროების აკრძალვის მოთხოვნით, „ქალთა მოძრაობამ“ პეტიცია მოამზადა, რომლითაც პარლამენტს მიმართა. პეტიციის ხელმომწერები მოითხოვენ, რომ პარლამენტმა მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებები შრომისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში, რათა სექსუალური შევიწროება აიკრძალოს როგორც დასაქმების ადგილზე, ისე საჯარო სივრცეში⁸.

პეტიციის თანახმად, „საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება მოიცავს: სექსუალური ხასიათის კომენტარებს, უხამს ხუმრობებს, მიშტერებას, სტვენას, ტელეფონის ნომრის ან შეხვედრის დაჭინებულ მოთხოვნას, რომელიც უარის შემდეგაც გრძელდება; ასევე, სექსუალური შევიწროებაა: სხეულზე შეხება უნებართვოდ, გენიტალიების ჩვენება და სხვა. სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროება ხშირად გამოიხატება სექსუალური შინაარსის არასასურველ კომპლიმენტებში, ხუმრობებში, პორნოგრაფიის ჩვენებაში; უფროსის მხრიდან სექსუალური ურთიერთობების მოთხოვნა დაწინაურების ან სამსახურიდან არგაგდების სანაცვლოდ და სხვა“⁹.

როდის დაიწყება პარლამენტში სექსუალური შევიწროების კანონპროექტზე მუშაობა, ამ დროისათვის უცნობია¹⁰.

მიუხედავად არსებული კანონმდებლობისა, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად სრულდება სავალალო შედეგებით. საგანგაშოა ქვეყანაში ფემიციდის - ქალის გენდერის ნიშნით მკვლელობის - მაჩვენებელი. 2017 წელს, საქართველოში ფემიციდის 22 შემთხვევა დაფიქსირდა¹¹. სისტემურ პრობლემას წარმოადგენს ფემიციდის დანაშაულების შემთხვევაში გენდერული მოტივის გამოკვეთა საგამომიებო და პროკურატურის ორგანოების მიერ, რაც არსებული კანონმდებლობით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას

⁷ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, განცხადება - „სახელმწიფომ სექსუალური შევიწროება დასჯადი უნდა გახადოს“:

<https://gyla.ge/ge/post/pdf/sakhelmtsifom-seqsualuri-shevitsroeba-dasjadi-unda-gakhados>

⁸ 24 ოქტომბერი, 2017. სტატია - „ქალთა მოძრაობა სექსუალური შევიწროების აკრძალვას მოითხოვს“:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/28812771.html>

⁹ პეტიცია - “მოვითხოვთ სექსუალური შევიწროების აკრძალვას“:

<https://manifest.ge/main/item/1755>

¹⁰ 22 მარტი, 2018, სტატია - „რატომ არ არის მზად სექსუალური შევიწროების შესახებ კანონპროექტი“:

<http://netgazeti.ge/news/262089/>

¹¹ 24.11.2017. „2017 წელს მოკვლეული ქალები - სტატისტიკა და ჩავარდნილი კანონპროექტი“:

<http://netgazeti.ge/news/236199/>

წარმოადგენს (ფემიციდის დანაშაულის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ქვეთავი - „ფემიციდი“).

ხარვეზები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას

ადამიანის უფლებათა ცენტრის, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წელს კვლავ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პოლიციამ შემაკავებელი ორდერის გამოწერის ნაცვლად, მოძალადის მიმართ ე.წ. გაფრთხილება გამოიყენა. სამართალდამცავი პირები ე.წ. გაფრთხილების ოქმის შედგენის გამამართლებელ მიზეზად ხშირად მსხვერპლის სურვილს უთითებენ, რაც არ წარმოადგენს მართებულ არგუმენტს. გაფრთხილება არ წარმოადგენს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებას. მას არ აქვს თანმდევი სამართლებრივი შედეგი, არ უზრუნველყოფს მსხვერპლის დაცვასა და მოძალადის მოქმედებების შეზღუდვას. მსხვერპლი ხშირად არ არის ინფორმირებული, რომ გაფრთხილებას არ მოჰყვება არანაირი სამართლებრივი შედეგი. მსხვერპლი არ არის, ასევე, სათანადოდ ინფორმირებული შემაკავებელი ორდერის არსზე. კერძოდ, მან არ იცის, რომ შემაკავებელი ორდერი არ ნიშნავს აუცილებლად დაპატიმრებას, თუ ასევე ადგილი არა აქვს სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულს. შემამფოთებელია, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას გაფრთხილების გამოყენების შემთხვევები კვლავ ფიქსირდება. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა, ასევე, 2016 წლის განმავლობაში¹².

მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელთა მიერ გაფრთხილების გამოყენების აკრძალვის კუთხით გაამკაცროს კონტროლი. ზემოაღნიშნული ფაქტები ასევე წარმოაჩენს მსხვერპლთა სრულფასოვანი ინფორმირებულების გაზრდის საჭიროებას სამართალდამცავი და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან.

ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიების კუთხით კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შემთხვევები, როცა საქმეზე გამოცემულია მხოლოდ შემაკავებელი ორდერი, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმია.

¹² გვ. 11, ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში, „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები“, 2017 წელი:

<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/HRC-report%20%E2%80%93GEO-kdit.pdf>

არადა, ხშირად მსხვერპლი უთითებს კონკრეტულ გარემოებაზე, რაც სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების საფუძველი უნდა იყოს¹³.

ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი პირების მხრიდან ე.წ. მამაკაცური სოლიდარობის ფაქტები, როცა სავარაუდო მოძალადის მიმართ ადგილი აქვს სიტყვიერ მხარდაჭერას და მსხვერპლის მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებას. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ინფორმაციით, პოლიციელების მხრიდან ფიქსირდება შემთხვევები, როცა ისინი მსხვერპლ ქალებს ადანაშაულებენ, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა მათივე ბრალია და ამართლებენ მოძალადის საქციელს. პროექტის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე ასევე გაჟღერდა ფაქტები, როდესაც პოლიციელების მხრიდან ადგილი აქვს მსხვერპლის ოჯახის ფინანსური თუ სხვა საკითხების გარჩევას, მოძალადის მიმართ სოლიდარობის გამოხატვის კონტექსტში.

მსგავსი დამოკიდებულებები შესაძლოა, წარმოადგენდეს ერთ-ერთ ფაქტორს, თუ რატომ იკავებს თავს მსხვერპლი ჩვენების მიცემისაგან მოძალადის წინააღმდეგ, ან რატომ ცვლის პოზიციას მოძალადის დამნაშავეობასთან დაკავშირებით, რადგანაც მსგავსი მოპყრობის პირობებში, მას უყალიბდება უნდობლობა სამართალდამცავი პირების მიმართ და არა აქვს მოლოდინი, რომ ისინი სრულფასოვნად დაიცავენ. მიღებული ინფორმაციით, მოძალადის მიმართ სოლიდარობა განსაკუთრებით იკვეთება რეგონებში, სადაც მოძალადეები სამართალდამცავი პირებისაგან ახერხებენ ლოიალური დამოკიდებულების მოპოვებას, მათ შორის, ნაცნობობისა და პირადი კავშირების გამოყენების გზით.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის თანახმად, სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობის არქონა და დაურწმუნებლობა არსებული მექანიზმების ეფექტიანობაში წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რაც იწვევს მსხვერპლის უარს საქმის წარმოების გაგრძელებაზე მოძალადის წინააღმდეგ¹⁴.

ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ეფექტური რეაგირებისა და მსხვერპლთა ნდობის მოპოვების მიზნით, მნიშვნელოვანია, რეაგირების ჯგუფში მუშაობდნენ ქალი პატრულ/ინსპექტორები. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სამართალდამცავთა ინფორმაციით, ქალ პატრულ-ინსპექტორებს, ხშირ შემთხვევებში, მაღალი მგრძობელობა აქვთ მსხვერპლებთან კომუნიკაციის დროს და უფრო ადვილად ახერხებენ მათთან ურთიერთობას. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას,

¹³ სახალხო დამცველის წინადადება საქართველოს პროკურატურას, 6 ივნისი, 2017 წელი: <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/saxalxo-damcvelma-odjaxshidzaladobis-shesaxeb-winadadebit-mimarta-prokuraturas.page>

¹⁴ გვერდი 11, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016 წელი: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf>

რადგანაც მსხვერპლები, ხშირად, ვერ იღებენ გადაწყვეტილებას თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით, სხვადასხვა მიზეზების, მათ შორის, ნათესავების ზეწოლის, საზოგადოების რეაგირების თუ მოძალადის შიშის გამო¹⁵.

პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, თავად ქალები არ გამოხატავენ მაღალ ინტერესს, დასაქმდნენ პოლიციაში. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, სამთავრობო უწყებებმა ხელი შეუწყონ ინფორმაციის გავრცელებასა და ცნობიერების ამაღლებას ქალების დასაქმების შესაძლებლობების შესახებ სამართალდამცავ სტრუქტურებში, მათ შორის, საზოგადოების ფართო მასებისათვის რეკლამირების გზით, რაც, შესაძლოა, იყოს ერთ-ერთი ხელშემწყობი გზა სამართალდამცველ ორგანოებში დასაქმებაზე ქალების ინტერესის გაზრდისათვის.

სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირება პრობლემურია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სადაც დამატებით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი, კერძოდ - სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა არ იციან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ადგილობრივი მოსახლეობის ენა. მსგავსი პრობლემებია ქვემო ქართლის იმ სოფლებში, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ქვემო ქართლის ადგილობრივი ოფისის წარმომადგენლის ინფორმაციით, ქვემო ქართლის ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მიმართავს საპატრულო პოლიციას, მაგრამ პატრულ-ინსპექტორმა არ იცის აზერბაიჯანული ენა და არ ხდება კომუნიკაციის თარჯიმნით უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ საპატრულო პოლიციაში მუშაობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი თანამშრომლები, რომლებიც რეაგირებას განახორციელებენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, რათა მსხვერპლთან მოიხსნას ენობრივი ბარიერის პრობლემა. ეთნიკური უმცირესობების მუშაობა საპატრულო პოლიციაში ასევე ხელს შეუწყობს უმცირესობების წარმომადგენელ მსხვერპლებთან ნდობის დამყარებასა და კომუნიკაციის გამარტივებას.

ალტერნატიული ექსპერტიზის დაფინანსების პრობლემა

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ძალადობის მსხვერპლი ქალების დასაცავად განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში, ხშირად მოითხოვენ ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას დაზარალებულის წინააღმდეგ განხორციელებული დაზიანებების სრულყოფილი შესწავლის მიზნით.

¹⁵ გვ. 52, სპეციალური ანგარიში, „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში“:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3361.pdf>

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, არსებობს შემთხვევები, როდესაც ალტერნატიული ექსპერტიზის შედეგად მიღებული დასკვნა განსხვავდება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნისაგან.

პროექტის ფარგლებში, ასევე, გამოვლინდა, რომ რეგიონებში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაზიანებების არასრულფასოვანი შემოწმება. გარკვეულ შემთხვევებში, არასრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევის მიზეზია მოძალადე პირის გავლენები და სოციალური მდგომარეობა. ასევე, რეგიონებში პრობლემაა დაზიანების ხარისხის განსაზღვრა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ცნობით, არსებობს შემთხვევები, როდესაც სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიღებული დასკვნა არ შეესაბამება იმ თვალსაჩინო ფიზიკურ ზიანს, რაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა განიცადა.

აღწერილი შემთხვევები წარმოაჩენს ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეზე ფაქტების იდენტიფიცირებისა და ჭეშმარიტების დადგენისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ, ხშირად, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, ძალადობის მსხვერპლ ქალებს არ აქვთ ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა. ძალადობის მსხვერპლ ქალებისათვის სხვადასხვა დახმარების სერვისების შეთავაზებისას, მათ შორის - არასამთავრობო სექტორის მხრიდან, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების დაფარვის შესაძლებლობა.

ნარკოტიკების მომხმარებელი ოჯახში ძალადობის მსხვერპლები

პროექტის ფარგლებში გამოვლენილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სარეაბილიტაციო და თავშესაფრის სერვისების ნაკლებობა წამლდამოკიდებული ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან. ფაქტობრივად, ისინი არიან ორმაგი სტიგმის მსხვერპლი, იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებაში არსებობს მაღალი სტიგმა და დისკრიმინაციული დამოკიდებულება როგორც წამლდამოკიდებული, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ. ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაციით, წამლდამოკიდებული ქალების წინააღმდეგ ხშირად ფიქსირდება ძალადობის ფაქტები. იმ პირობებში, როცა ნარკოტიკების მომხმარებელთათვის ქვეყანაში არ არსებობს სარეაბილიტაციო ცენტრები და მკურნალობის ნაცვლად, სახელმწიფო მიდგომა მათ დასჯაზე ორიენტირებული, ასეთი ბენეფიციარები უფრო ხშირად მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობაზე საუბარს. ისინი შიშობენ, რომ სამართალდამცავი ორგანოებისაგან რეაგირების მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა, გამომჟღავნდეს მათი წამლდამოკიდებულება და მათ მიმართ განხორციელდეს სისხლის სამართლებრივი დევნა.

შეხვედრაში მონაწილე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლმა განაცხადა: „საქართველოში ძალიან იშვიათია შემთხვევა - გამოვიდეს ქალი და თქვას, რომ მე ვარ ეს ადამიანი, ისევე, როგორც, ვთქვათ, აივინფიცირებული გამოვიდეს და თქვას, რადგან საზოგადოების მხრიდან ძალიან დიდია სტიგმა-დისკრიმინაცია და მის მაგივრად ვლავარაკობთ ის ადამიანები, რომლებიც მას სერვისს აწვდიან და ეს კიდევ უფრო მეტად ძაბავს სიტუაციას, რადგან პრობლემას როცა არა აქვს სახე, იქ ძალიან რთულია ისაუბრო იმ პრობლემის მოგვარებაზე“.

წამალდამოკიდებული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისათვის ამჟამად საქართველოში არ არსებობს თავშესაფარი, რომელიც გაითვალისწინებს მათ სპეციალურ საჭიროებებს, უზრუნველყოფს მათ შესაბამის რეაბილიტაციასა და მკურნალობას. ძალადობის მსხვერპლთა არსებული თავშესაფრები მსგავს მომსახურებას არ ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში გამართული დისკუსიების შედეგად გამოვლინდა საჭიროება, რომ ასეთი ბენეფიციარებისათვის შეიქმნას სპეციალიზებული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მათ რეაბილიტაცია-დეტოქსიკაციას და შემდგომ თავშესაფარში გადამისამართებას. აღნიშნული საქმიანობის შესრულება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის რეფორმირების შემთხვევაში, არსებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ცვლილებით და დასჯაზე ორიენტირებული მიდგომის შეცვლით მკურნალობაზე ორიენტირებული მიდგომით.

ოჯახში მოძალადე პირთა რეაბილიტაცია

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი არაერთჯერადი ხასიათი და ციკლური ბუნება. პრობლემას ართულებს საზოგადოებაში არსებული სტიგმა და ტაბუ, რომელიც ხელს უწყობს მოძალადეს, განაგრძოს ძალადობრივი ქმედებები¹⁶. ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნის მისაღწევად, აუცილებელია როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია, ასევე მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლაზე ზრუნვა¹⁷.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხორციელდება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამები ოჯახში მოძალადე პირთა რეაბილიტაციის მიზნით, მათ შორის - „სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი“, რომელიც ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამას წარმოადგენს, ასევე პროგრამა „პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობაში“ - ჯგუფური

¹⁶ 2011 წლის 13 იანვარი, საქართველოს მთავრობის განკარგულება N55, ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

¹⁷ იგივე

ინტერვენციის მოდული, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული სენსიტიურობის ამაღლებას მსჯავრდებულ მამაკაცებში¹⁸.

ასევე, აღსანიშნავია, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში მოქმედებს „ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა, გენდერული ძალადობა“, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს პირობითი მსჯავრდებულები. პროგრამა ითვალისწინებს პირობითი მსჯავრდებულებისათვის დახმარებას, რათა მათ გააცნობიერონ ძალადობრივი ქცევა და შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები, შეძლონ დავებისა და კონფლიქტების ძალადობისა და აგრესიის გარეშე მართვა. აღნიშნული სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით შემუშავდა, ითვალისწინებს ბენეფიციარებთან ჯგუფურ ან ინდივიდუალურ თერაპიულ მუშაობას¹⁹. არსებული ინფორმაციით, 2016 წელს სარეაბილიტაციო პროგრამების ფარგლებში ჩართული იყო 79 პირობითი მსჯავრდებული კაცი²⁰.

მისასალმებელია, რომ საპატიმროში მოთავსებული მსჯავრდებული პირების, ასევე პირობითი მსჯავრდებულებისათვის ხორციელდება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამები ძალადობრივი ქცევის შეცვლის მიზნით. თუმცა, ამჟამად სარეაბილიტაციო პროგრამები არ არსებობს იმ მოძალადე პირებისათვის, რომელთა მიმართ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. ოჯახში ძალადობის პრობლემასთან ეფექტური გამკლავების მიზნით, აუცილებელია, რომ ქცევის კორექციის პროგრამები ასევე განხორციელდეს აღნიშნული პირებისათვის.

¹⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია:

<http://www.moc.gov.ge/ka/resocializacia-reabilitacia/msjavrdebulta-reabilitacia>

¹⁹ სტატია - „ძალადობრივი მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა შემუშავდა“, 21 აპრილი, 2016 წელი:

<http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/04/gbv-perpetrators-rehabilitation-programme-launched-in-georgia>

²⁰ გვ. 11, „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში“, საქართველოს სახალხო დამცველი:

<http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/qalta-mimart-dzaladobis-da-odjaxshi-dzaladobis-winaagmdeg-brdzolisa-da-msxverplta-dazaralebulta-dasacavad-gasatarebel-gonisdziebata-2016-2017-wlebis-samoqmedo-gegmis-monitoringis-angarishi.page>

სოციალური დახმარების მოხსნა თავშესაფრებში მცხოვრები

ბენეფიციარებისათვის

ადამიანის უფლებათა ცენტრის, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მიერ, პროექტის ფარგლებში გამართული შეხვედრებისას მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თავშესაფარში მოთავსების შემდგომ, სოციალურად დაუცველ მსხვერპლს უწყდება სოციალური შემწეობა იმ დრომდე, სანამ ისინი სერვისით სარგებლობენ. თავშესაფრის დატოვების შემდგომ კი, მან ხელახლა უნდა გაიაროს პროცედურა, რათა სოციალური დახმარება მიიღოს. პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე გაქდურდა შემთხვევები, როდესაც მსხვერპლმა უარი განაცხადა თავშესაფარში მოთავსებაზე, იმის შიშით, რომ სოციალური დახმარება ჩამოერთმეოდა და თავშესაფრიდან გამოსვლის შემდგომ რამდენიმე თვე დასჭირდებოდა სოციალური დახმარების ხელახლა მისაღებად. ფაქტობრივად, სოციალურად დაუცველი პირები თავშესაფრის დატოვების შემდეგ ყოველგვარი შემოსავლის გარეშე რჩებიან²¹.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2012 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, გადაიხედოს სოციალური დახმარების სისტემის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები, რათა მოხდეს საარსებო შემწეობის შენარჩუნების მიზნით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიერ გენდერული ძალადობის არსებული ფაქტების დამალვის/უგულებელყოფის ტენდენციის თავიდან აცილება და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური დაცვის გარანტიების განმტკიცება“²². სახალხო დამცველი აღნიშნულ რეკომენდაციაში აღნიშნავს შემთხვევაზე, როდესაც სოციალურად დაუცველი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უარს აცხადებდა თავშესაფარში მოთავსებაზე, მისი ფინანსური დახმარების ძირითადი წყაროს - საარსებო შემწეობის - დაკარგვის საფრთხის გამო. რეკომენდაციაში ხაზგასმულია მსგავსი საფუძვლით თავშესაფარში გადასვლაზე მსხვერპლთა მხრიდან უარის თქმის ხშირი შემთხვევები.

2017 წლის განმავლობაში გამოვლენილი ფაქტები მიუთითებენ, რომ მსგავსი ტენდენცია კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აუცილებელია, ცვლილებები შევიდეს კანონმდებლობაში, მათ შორის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში იმგვარად, რომ

²¹ გვ. 21, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში“, 2015 წელი:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3361.pdf>

²² 17 სექტემბერი, 2012. სახალხო დამცველის რეკომენდაცია პრემიერ-მინისტრს:

<http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/1648-saxalxo-damcvelis-rekomendacia-premier-ministrs.page>

თავიდან იქნას აცილებული სოციალურად დაუცველი ძალადობის მსხვერპლისათვის სოციალური შემწეობის შეწყვეტა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მოთავსების შემთხვევაში.

შემაკავებელი და დამცავი ორდერების პირობების შესრულების

მონიტორინგი

შემაკავებელი და დამცავი ორდერების პირობების შესრულების არასრულფასოვანი მონიტორინგი წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, რომელიც აბრკოლებს ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან ეფექტურ გამკლავებას. არაერთი მაგალითი არსებობს, როცა ფემიციდის მსხვერპლი ქალების დასაცავად მოძალადის წინააღმდეგ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი, მაგრამ მან ორდერით გათვალისწინებული პირობა დაარღვია და აღნიშნულმა მექანიზმმა ვერ უზრუნველყო ფატალური შედეგის პრევენცია²³. მონიტორინგის სისტემის შემოღება უადრესად მნიშვნელოვანია, რათა გაკონტროლდეს ოჯახში მოძალადის მხრიდან იმ პირობებისა და ვალდებულებების შესრულება, რაც მას შემაკავებელი და დამცავი ორდერით დაეკისრა, მათ შორის, მსხვერპლთან მიახლოების აკრძალვა. დარღვევის შემთხვევაში კი გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი რეაგირება, მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

არსებული მექანიზმით, ოჯახს, სადაც დაფიქსირდა ძალადობის შემთხვევა ან გამოძახება, კურატორობას უწევს უბნის ინსპექტორი. თუმცა, ინსპექტორის მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცედურა არ არის დოკუმენტურად გაწერილი და მხოლოდ სამართალდამცავი პირის პირად ინიციატივაზე დამოკიდებული²⁴.

ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, არ არსებობს საკმარისი ადამიანური რესურსი იმისათვის, რომ თავად პოლიციელმა ადევნოს თვალყური მოძალადის მოქმედებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრაზე განაცხადა: „ამის მონიტორინგი ფიზიკურად არის შეუძლებელი. რასაც პოლიცია აკეთებს, არის ის, რომ მსხვერპლთან ამყარებს უშუალო კომუნიკაციას, დეტალურად აცნობს უფლებებს და პასუხისმგებლობებს და გარკვეულწილად უხსნის, რომ მასზეა დამოკიდებული შეტყობინების გაკეთება, თუკი დაირღვა უფლებები. ისევე როგორც, მსხვერპლმა უნდა გააფრთხილოს, მაგალითად, მასწავლებელი, რომ, როცა ჩემი ქმარი მოვა ბავშვთან, იმ წუთში გამოიძახე პატრული.

²³ გვ. 37, სახალხო დამცველის ანგარიში - „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“, 2016;

<http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/qalta-uflebrivi-mdgomareoba-da-genderuli-tanasworoba.page>

²⁴ იგივე

აი, ესეთი, ესე ვთქვათ, სქემა იხატება. ამიტომ, ვერანაირი რესურსი ვერ გაწვდება იმას, რომ თვითონ პოლიციელმა სდიოს თვითონ მოძალადეს“.

სამუშაო შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების კუთხით, შესაძლოა, ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენდეს ელექტრონული სამაჯურების შემოღება, რომლის ტარება დაევალება ოჯახში მოძალადეს და მათზე განხორციელდება ელექტრონული მონიტორინგი. მონიტორინგის მსგავსი პრაქტიკა არსებობს ევროპის ქვეყნებში, კერძოდ - ესპანეთში, სადაც სპეციალურ სამაჯურს ატარებს მოძალადე და მას მისი მოხსნა არ შეუძლია. იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე ქალს დასაშვებზე ახლო დისტანციაზე მიუახლოვდება, ელექტრონული სამაჯური შეტყობინებას გზავნის მონიტორინგის განმახორციელებელ უწყებაში და შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად იგზავნება პოლიცია²⁵.

მნიშვნელოვანია, საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ჩართულობის გზით, შესწავლილ იქნას ელექტრონული სამაჯურების სისტემის დანერგვისა და ამ კუთხით საჭირო რესურსების გამონახვის გზები. ქმედითი მონიტორინგის სისტემის დანერგვა უმნიშვნელოვანესია ქალთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს წარმოადგენს, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვას.

თავშესაფარში მიიღება ყველა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული, რომელსაც აქვს ასეთი საჭიროება. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ჩაითვლება ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, ან სასამართლო ორგანომ (იგულისხმება დამცავი ან

²⁵ პარაგრაფი 60, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ქალთა მიმართ ძალადობის საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობა;

<http://website-pace.net/documents/19879/1274427/20150930-ViolenceWomenBestPract-EN.pdf/4c7ecb18-fe6b-48d1-8df3-ccc09f197bd7>

შემაკავებელი ორდერი), ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა²⁶.

პროექტის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში გამართულ შეხვედრაზე გამოვლინდა, რომ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი არ არსებობს. ქვემო ქართლში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლები ზოგჯერ უარს ამბობენ თავშესაფარში განთავსებაზე, რადგანაც, ამ შემთხვევაში, მათ უხდებოდათ სხვა რეგიონში საცხოვრებლად გადასვლა. ამიტომ, ხშირად ისინი არჩევენ საცხოვრებლად ნათესავთან გადასვლას²⁷. ქვემო ქართლის რეგიონში თავშესაფარის არსებობა აუცილებელია, რათა სათანადოდ იყოს დაცული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოება. თავშესაფარის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ მსხვერპლის მოძალადისგან დაცვაა. შესაბამისად, ქვემო ქართლის რეგიონში თავშესაფარის არარსებობა მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის კუთხით. ქვემო ქართლის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონეა ოჯახში ძალადობის ფაქტების რაოდენობით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით, 2007-2014 წლებში, ოჯახში ძალადობის ფაქტების რაოდენობით საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილზე სწორედ ქვემო ქართლია²⁸. შესაბამისად, აუცილებელია ამ რეგიონში დროულად გაიხსნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი მსხვერპლთა დაცვის, უსაფრთხოებისა და სხვა მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

პრობლემის აქტუალურობაზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ცენტრის ქვემო ქართლის ოფისის გამოცდილებაც. ადამიანის უფლებათა ცენტრის ქვემო ქართლის ოფისის წარმომადგენლის განცხადებით: „2017 წლის ზაფხულში გვქონდა ერთი შემთხვევა, როდესაც სისხლის სამართლის საქმე იყო ძალადობის ფაქტზე აღძრული. ძალადობის მსხვერპლი ვერ გადაგვყავდა სხვა რეგიონში, რადგან უნდა დაეკითხათ საქმესთან დაკავშირებით. ამასთან, იგი საჭიროებდა ექიმის მეთვალყურეობას და უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლის რეგიონში. პრობლემა კი შემდეგნაირად გადაჭკირით - იგი, 3 დღის განმავლობაში, მოვათავსეთ ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე დედათა მონასტერში, ამის შემდეგ კი, როცა შესაძლებელი გახდა მისი წამოყვანა, გადაიყვანეს თბილისის თავშესაფარში. მონასტერში მისი განთავსება საფრთხის შემცველი იყო, რადგან იქ ყველას შეუძლია

²⁶ ქვეპუნქტი „ვ“, მუხლი მე-4, საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665073>

²⁷ სტატია, „ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და სისტემის გარეთ დარჩენილი ბავშვები“, 2017 წელი:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19397&lang=geo>

²⁸ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი:

http://police.ge/files/pdf/9%20%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%202007-2014--6%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94_.pdf

შედწევა, და გარდა ფიზიკური საფრთხისა, შესაძლებელი იყო, მასთან მისულიყო მოძალადე, ან მოძალადის ახლობელი და გასაუბრებოდა, რაც შემდგომში მის ჩვენებაზეც აისახებოდა. თუმცა, სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ გვექონდა, რადგან ქვემო ქართლის რეგიონში არ არსებობს თავშესაფარი. მაშინ, როდესაც ძალადობის შემთხვევათა დიდი წილი, სწორედ, ქვემო ქართლის რეგიონში ხდება. ამჟამად, ფუნქციონირებს 5 სახელმწიფო თავშესაფარი და გვაქვს ინფორმაცია, რომ დაემატება კიდევ 2, მაგრამ ქვემო ქართლის რეგიონში კვლავ არ განიხილება ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის გახსნა, რაც დიდი პრობლემაა²⁹.

პრობლემას წარმოადგენს ასევე ის, რომ ზოგჯერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში ადგილი არ არის.

„გვექონდა შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი ვერ განვითავსეთ თბილისში მდებარე თავშესაფარში, რადგან ადგილი არ იყო. მსხვერპლი გადამისამართდა რეგიონებში მდებარე თავშესაფრებში. აღნიშნული კი პრობლემას წარმოადგენს, რადგან რეგიონებში მსხვერპლმა უნდა გაიაროს ადაპტაცია, უნდა მოიძიოს სამსახური, რაც ადვილი არ არის. ამასთან, რეგიონში დასაქმების დიდი პერსპექტივაც არ არის. თუმცა, ამის გამო უარი თავშესაფრებში განთავსებაზე ძალადობის არცერთ მსხვერპლს არ უთქვამს. რაც შეეხება ძალადობის მსხვერპლთა შვილებს, მათ რომ შეძლონ განათლების მიღება, საბუთები გადააქვთ კონკრეტულ რეგიონში“, - აღნიშნა ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტთან საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ ფსიქოლოგმა, ანა ჭიღვარიამ³⁰.

თავშესაფრებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ თავშესაფარში მოთავსების კანონით გათვალისწინებული 3-თვიანი ვადა არასაკმარისია მსხვერპლის სრულფასოვანი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, „ბენეფიციარები აღნიშნავენ, რომ თავს თავშესაფარში კარგად გრძნობენ, მაგრამ დღეებს ითვლიან, რადგან არ იციან, თუ სად უნდა წავიდნენ ვადის ამოწურვის შემდეგ. ხშირად მათთვის ერთადერთი ალტერნატივა ისევ მოძალადე მეუღლის ოჯახში დაბრუნებაა“³¹.

²⁹ სტატია, „ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და სისტემის გარეთ დარჩენილი ბავშვები“, 2017 წელი:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19397&lang=geo>

³⁰ სტატია, „ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და სისტემის გარეთ დარჩენილი ბავშვები“, 2017 წელი:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19397&lang=geo>

³¹ გვ. 12, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში“, 2015 წელი:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3361.pdf>

ფემიციდი

საქართველოს საგამომიებო და პროკურატურის ორგანოებისათვის გამოწვევას წარმოადგენს გენდერული მოტივის იდენტიფიცირება ქალთა მკვლელობის საქმეებში. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ დადასტურდა პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც იურიდიულ დამხარებას უწყევნ ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს 53-ე პრიმა მუხლს, რომლის თანახმადაც, დანაშაულის ჩადენა გენდერული იდენტობის მოტივით წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. მაგრამ, საგამომიებო და პროკურატურის ორგანოებს უჭირთ აღნიშნული მოტივის გამოკვეთა³². საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2016 და 2017 წლებში ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, მიუხედავად გენდერული დისკრიმინაციის მოტივის მიმანიშნებელი გარემოებებისა, პროკურორებისა და მოსამართლეების ანალიზი ამ კუთხით მსჯელობას არ მოიცავს³³. ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2016 წლის ივნისში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შედეგად გამოცემული ანგარიშის თანახმად, პროკურორები და მოსამართლეები არ არიან საკმარისად ინფორმირებული გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებული სტანდარტების შესახებ³⁴.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით მოსამართლეს უფლება არ აქვს საკუთარი ინიციატივით გადააკვალიფიციროს ქმედება წარდგენილი ბრალდებიდან უფრო მძიმე ბრალდებაზე. შესაბამისად, არაერთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა გენდერული მოტივით ჩადენილი ქალის მკვლელობა ამჟამად არსებული პრაქტიკით არ ისჯება შესატყვისად მკაცრი პასუხისმგებლობით³⁵.

2016 წლის 3 მაისს რესპუბლიკურმა პარტიამ საქართველოს პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი ფემიციდის შესახებ, რომელიც გულისხმობს ფემიციდის, როგორც დანაშაულის აღიარებას და მის მოქცევას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში. კანონპროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის

³² გვ 9, ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში, 2017 წელი:

<https://gyla.ge/ge/post/qalta-mimart-dzaldobis-saqmeebi>

³³ იგივე

³⁴ ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016 წელი:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf>

³⁵ სტატია, „ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და საგანგაშო სტატისტიკა“, 2018 წელი:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19493&lang=geo>

კოდექსს უნდა დამატებოდა 108 პრიმა მუხლი, რომლის თანახმად ფემიციდი, რომელიც არის გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის, ან ოჯახის სხვა წევრის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე. აღნიშნულ კანონპროექტს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა. პარლამენტს ფემიციდის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით „რესპუბლიკელებმა“ 2017 წლის იანვარშიც მიმართეს. ცვლილებები ასევე მოიცავდა გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად აღიარებას. თუმცა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა აღნიშნულ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა³⁶.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მხარს უჭერს ფემიციდის განსაზღვრების შეტანას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ფემიციდის დანაშაულის სიმწვავის აღიარებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრების კუთხით.

ფსიქოლოგიური ძალადობის გამოვლენის პრობლემა

პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცავი პირები, ხშირად, პრობლემას აწყდებიან ფსიქოლოგიური ძალადობის იდენტიფიცირების კუთხით. კერძოდ, ერთ-ერთმა პატრულ-ინსპექტორმა შეხვედრაზე აღნიშნა ისეთი შემთხვევების შესახებ, როდესაც მოძალადის წინააღმდეგ გამოიწერა შემაკავებელი ორდერი ფსიქოლოგიური ძალადობის კუთხით, მაგრამ სასამართლომ შემაკავებელი ორდერი გააუქმა და მიიჩნია, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნულ შემთხვევებში, სამართალდამცავი პირის განცხადებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო საყოფაცხოვრებო ნიადაგზე აღმოცენებული ოჯახური კონფლიქტი და არა ფსიქოლოგიური ძალადობა. სამართალდამცავი პირის განცხადებით, მეტი ლეგიტიმაცია რომ მიეცეს პოლიციელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ფსიქოლოგიურ ძალადობასთან დაკავშირებით და სასამართლოს წინაშე წარდგენილი იყოს მეტი არგუმენტაცია, მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგიური ძალადობის შეფასების პროცესში ჩაერთოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, ფსიქოლოგი.

კადრების ნაკლებობა ოჯახში ძალადობაზე რეაგირების კუთხით

სამართალდამცავი პირებისაგან მიღებული ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სრულფასოვან რეაგირებას აფერხებს სამართალდამცავ სტრუქტურებში ადამიანური რესურსის ნაკლებობა, კერძოდ - პოლიციის

³⁶ სტატია, „ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და საგანგაშო სტატისტიკა“, 2018 წელი:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19493&lang=geo>

განყოფილებებში იმ თანამშრომლების მწირი რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების კუთხით.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის მასშტაბით, თითოეულ განყოფილებაში შემაკავებელი ორდერის გამოცემის კუთხით მუშაობს მხოლოდ ერთი კადრი. ოჯახში ძალადობის გახშირებული ფაქტების ფონზე, ეფექტური რეაგირებისათვის პოლიციის განყოფილებებში მნიშვნელოვანია ამ კუთხით სპეციალიზებული კადრების დამატება.

შსს-ს წარმომადგენლებისაგან ამ თემაზე მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცავ სტრუქტურებში იგეგმება კადრების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე რეაგირების კუთხით. თუმცა, დაამატებენ თუ არა კადრებს პოლიციის განყოფილებებში, ამ დროისთვის უცნობია.

დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების შეცვლა

პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე პროკურატურის ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ისინი პრაქტიკაში ხშირად აწყდებიან შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულის დამოკიდებულება არ არის თანამშრომლობითი. მათი ინფორმაციით, ხშირია შემთხვევები, როდესაც დაზარალებული პირველ ეტაპზე აძლევს ჩვენებას სავარაუდო მოძალადის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ იცვლის პოზიციას და უარს აცხადებს ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, რისი უფლებაც მას კანონით აქვს მინიჭებული. პროკურატურის წარმომადგენლების ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტები პრაქტიკაში პრობლემას ქმნის იმ შემთხვევებში, როდესაც საქმეში ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს დაზარალებულის ჩვენება, რომლის არქონის შემთხვევაში შეუძლებელია საქმის წარმოების გაგრძელება.

მსგავსი შემთხვევების მიზეზები მრავალგვარია. შესაბამისად, მათი პრევენცია საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, მათ შორის: მასშტაბურ კამპანიებს დაზარალებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით მათი უფლებების დაცვის გზების შესახებ, მეტ ძალისხმევას საზოგადოებაში არსებულ სტიგმასთან და სტერეოტიპებთან ბრძოლის კუთხით, ქალთა ეკონომიური გაძლიერების ხელშეწყობას და მსხვერპლთა მრავალმხრივი საჭიროებების უზრუნველყოფას.

ჩვენებების შეცვლის პრევენციისათვის ასევე მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლ ქალებს კონსულტაცია გაუწიოს ფსიქოლოგებმა. გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მსხვერპლთათვის იურიდიული დახმარების გაწევის პროცესში ისინი ადრეულ ეტაპზე რთავენ ფსიქოლოგს, რაც ხელს უწყობს მათ საკუთარი პოზიციის მკაფიო და მყარ ჩამოყალიბებაში.

რეკომენდაციები

➤ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას

- ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას არ უნდა იყოს გამოყენებული ე.წ. გაფრთხილება. გაფრთხილება არ წარმოადგენს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებას. მას არ აქვს თანმდევი სამართლებრივი შედეგი, არ უზრუნველყოფს მსხვერპლის დაცვასა და მოძალადის მოქმედებების შეზღუდვას;
- გამკაცრდეს კონტროლი პოლიციელთა მიერ გაფრთხილების გამოყენების აკრძალვის კუთხით;
- განხორციელდეს იმ სავარაუდო ფაქტების მოკვლევა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოიხატება სოლიდარობა მოძალადის მიმართ და ადგილი აქვს მსხვერპლისადმი დამამცირებელ მოპყრობას;
- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მოახდინონ ქალი მსხვერპლების სრულფასოვანი ინფორმირება დაცვისა და დახმარების ღონისძიებების, მათ შორის, შემაკავებელი და დამცავი ორდერის არსისა და თანმდევი შედეგების შესახებ;
- ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ეფექტური რეაგირებისა და მსხვერპლთა ნდობის მოპოვების მიზნით, რეაგირების ჯგუფში გაიზარდოს ქალი პატრულ/ინსპექტორების რაოდენობა;
- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, რეაგირების ჯგუფი დაკომპლექტდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისაგან;
- დაინერგოს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების შეფასებისა და ანალიზის პრაქტიკა;
- ფსიქოლოგიური ძალადობის შეფასების პროცესში ჩაერთოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, ფსიქოლოგი.
- ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სრულფასოვანი რეაგირების მიზნით, გაიზარდოს პოლიციის განყოფილებებში ამ კუთხით მომუშავე პატრულ-ინსპექტორების რაოდენობა.

➤ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- თავშესაფარში სოციალურად დაუცველი პირის მოთავსების შემთხვევაში, მას საარსებო შემწეობა შეუჩერდეს იმგვარად, რომ თავშესაფრის დატოვების შემდეგ შემწეობა აღუდგეს ავტომატურად;

- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი შეიქმნას იმ რეგიონებში, სადაც ამის საჭიროება გამოკვეთილია, პირველ რიგში - ქვემო ქართლის რეგიონში.
 - ქცევის კორექციის პროგრამები დაინერგოს, ასევე, იმ მოძალადე პირებისათვის, რომელთა მიმართ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი.
 - ნარკოტიკების მომხმარებელი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისათვის აუცილებელია შეიქმნას სპეციალიზებული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მათ რეაბილიტაცია-დეტოქსიკაციას და შემდგომ თავშესაფარში გადამისამართებას.
- **საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას**
- საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ, მათ შორის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ჩართულობის გზით, შესწავლილ იქნას ელექტრონული სამაჯურების სისტემის დანერგვისა და ამ კუთხით საჭირო რესურსების გამონახვის გზები.
- **საქართველოს პარლამენტს**
- შემოღებულ იქნას ფემიციდის განსაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც არის გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის, ან ოჯახის სხვა წევრის მიერ.
- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს**
- სასწავლო გეგმებში გათვალისწინებულ იქნას ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საკითხები.

დანართი

➤ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატიები

- 1) „ორი შემაკავებელი ორდერი ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის - საშიში პრეცედენტი“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19512&lang=geo>
- 2) „ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და საგანგაშო სტატისტიკა“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19493&lang=geo>
- 3) „რა პრობლემები იჩენს თავს განქორწინებისა და ალიმენტის დანიშვნის პროცესში“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19456&lang=geo>
- 4) „ოჯახში ძალადობის მძიმე შედეგები - ტრავმირებული ბავშვები“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19434&lang=geo>
- 5) „ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები და სისტემის გარეშე დარჩენილი ბავშვები“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19397&lang=geo>
- 6) „დაკარგული ბავშვობა - ადრეული ქორწინების მზარდი სტატისტიკა“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19376&lang=geo>
- 7) „ძალადობა გამოვლილი ქალები და მათი უფლებები“:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19341&lang=geo>